

შპს „ტრანს გაზი“ (საინდეტიფიკაციო # 404905046)

განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1. შპს „ტრანს გაზი“ (შემდგომში „საზოგადოება“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2011 წლის 21 ივლისს, საინდეტიფიკაციო ნომრით: 404905046

1.2. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

- საზოგადოება განახორციელებს საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ საქმიანობას, რომელიც მოგების მისაღებად არის გამიზნული;
- საქმიანობის ძირითადი საგანია გაზითა და ნავთობპროდუქტების ვაჭრობა; ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები; უძრავი ქონების იჯარა;
- საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს ნებისმიერი სამიანობა, რაც პირადაპირ ან არაპირდაპირ ემსახურება მის მიზნებსა და ინტერესებს, აკრძალული არ არის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;
- ყველა ის საქმიანობა, რომელიც საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, განხორციელდება მხოლოდ შესაბამისი ლიცენზიის აღების შემდეგ;

1.3. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

2.1. ორგანიზაციის მიერ 2019 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება მეორედ; საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

2.2. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

2.3. საწარმო წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

- 2.4. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს მის ფასს-ზე გადასვლის შემდეგ ორგანიზაციის პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;
- 2.5. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2018 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;
- 2.6. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლით კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 2.7. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწრა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 2.8. კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად;
- 2.9. არამატერიალური აქტივი არის კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ასახულია ნარჩენი ღირებულებით (თვითღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთა);
- 2.10. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლის აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

- 2.11. მოთხოვნების მიწოდებიდან და მომსახურებიდან დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - საქონლის მიწოდების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 2.12. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ არიხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;
- 2.13. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საპენსიო გადასახადი (ასაკის მიხედვით) და საშემოსავლო გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 2.14. ბანკის სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი აღიარდება საბანკო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცხრილის მიხედვით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგება-ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა;
- 2.15. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 2.16. ორგანიზაციის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მოღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალშიშეძლება წარმოდგენილი იქნეს, როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.
- 2.17. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია;
- 2.18. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2019 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;
- 2.19. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მოიცავს:
- ბალანსს ((შენიშვნებით);
 - ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას;
 - საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობა 31.12.2019

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ძირითადი საშუალებები	1	1 018 967,00	821 360,00
სულ გრძელვადიანი აქტივები		1 018 967,00	821 360,00
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2	78 453,00	6 922,00
სავაჭრო და დებიტორული დავალიანება	3	90 826,00	50 900,00
გადახდილი ავანსები	3	9 324,00	63 734,00
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	4	50 520,00	119 790,00
სულ მიმდინარე აქტივები		229 123,00	241 346,00
სულ აქტივები		1 248 090,00	1 062 706,00
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	5	21 874,00	7 288,00
საგადასახადო ვალდებულებები	6	8 742,00	45 920,00
სასესხო ვალდებულებები	7	166 033,00	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		196 649,00	53 208,00
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	8	776 080,00	676 080,00
გაუნაწილებელი მოგება	8	275 361,00	333 418,00
სულ კაპიტალი		1 051 441,00	1 009 498,00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1 248 090,00	1 062 706,00

შპს "ტრანს გაზი"-ს დირექტორი:

ბუღალტერი:



2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის შემოსავლის, ხარჯის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ანგარიში	შემოსავალი	თანხა
6110	შემოსავალი რეალიზაციიდან	2 026 243,00
8130	არასაოპერაციო მოგება	1 080,00
	სულ შემოსავალი	2 027 323,00
	ხარჯები	
7110	სხვა მასალები	
7210	გაყიდული/შეძენილი საქონელი	1 658 709,00
7402	გაზის ტრანსპორტირება	5 084,00
7410	შრომის ანაზღაურება	91 020,00
7412	საკანცელარიო ხარჯი	410,00
7440	კომუნალური ხარჯები	96 852,00
7420	საიჯარო ქირა	6 736,00
7421	ლაცვა	712,00
7440	მიმდინარე რემონტი	15 465,00
7450	საკონსულტაციო ხარჯები	1 754,00
7490	სხვა საერთო ხარჯი	7 994,00
7494	დანაკლისი	6 353,00
7495	შპს "ცისარტყელა"-ს მომსახურება	35 805,00
8210	საპროცენტო ხარჯები	3 276,00
8220	არასაოპერაციო ზარალი	956,00
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3 161,00
7465	სხვა საგადასახადო ხარჯი	7 597,00
7455	ცვეთა და ამორტიზაცია	48 028,00
	სულ ხარჯი	1 989 912,00
	ფინანსური დასაბეგრი მოგება 2019	37 411,00

შპს "ტრანს გაზი"-ს დირექტორი:

ბუღალტერი:



[Handwritten signature]

/დ. ჩახტაური/

/ლ. აბრამიშვილი /

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2018 წ-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

#	დასახელება	თანხა
შემოსავალი		
1	შემოსავალი მიწიდეებიდან და მომსახურებიდან	2 738 664,00
2	კაპიტალის შევსება	100 000,00
3	სესხის მიღება	166 033,00
	სულ შემოსავალი	3 004 697,00
გასავალი		
1	გადახდილი ხელფასები	71 875,00
2	გადახდილი გადასახადები	477 600,00
4	გადახდილი %	3 276,00
5	ბანკის მომსახურების ხარჯი	3 159,00
6	შემძენილი საქონლის ღირებულება	1 963 337,00
7	მ/საშუალებების შემენა	68 253,00
8	იჯარა	8 036,00
9	კომუნალური გადასახადები; კომუნიკაცია (წყალი, ელექტროენერგია; დასუფთავება)	103 548,00
10	გამა ქარდის ღირებულება	46 129,00
11	დაცვა	840,00
12	საპროექტო სამუშაოები	144 333,00
13	დაზღვევა	634,00
14	მ/საშუალებების მიმდინარე რემონტი	96 946,00
15	აუდიტორული და ნოტარიალური მომსახურება	2 070,00
16	სხვა ხარჯები	6 841,00
17	გაცემული დივიდენდი	77 090,00
	სულ გასავალი	3 073 967,00

ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	119 790,00
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	50 520,00

შპს "ტრანს გაზი"-ს დირექტორი:

ბუღალტერი:



/დ. ჩახტაური/

/ლ. აბრამიშვილი /

შენიშვნა 1 - ძირითადი საშუალებები

#	ბალანსი 31 დეკემბერი 2018 წელი	821 360,00
1	მიწის ნაკვეთები	304 751,00
2	შენობა-ნაგებობები	264 957,00
3	მანქანა-დანადგარები	246 300,00
4	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	5 352,00
#	ნაშთი 31 დეკემბერი 2019 წელი	1 018 967,00
1	მიწის ნაკვეთები	304 751,00
2	შენობა-ნაგებობები	373 952,00
3	მანქანა-დანადგარები	335 331,00
4	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	4 933,00

შენიშვნა 2 - სასაქონლო-მატერიალური მარაგები

#	დასახელება	31-12-2019 წელი
1	საქონლო-მატერიალური მარაგი	78 453,00
		78 453,00

შენიშვნა 3 - სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

#	დასახელება	31-12-2019 წელი
	მოთხოვნები მიწოდებიდან და	
1	მომსახურებიდან	90 826,00
2	გადახდილი ავანსები	9 324,00
	სულ სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება	100 150,00

შენიშვნა 4 - ფული და ფულადი ექვივალენტები

#	დასახელება	31-12-2019 წელი
1	ნაღდი ფული საღაროში	26 533,00
2	ფული საბანკო ანგარიშზე	23 987,00
	სულ ფული და ფულადი ექვივალენტები	50 520,00

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სასესხო ვალდებულებები

#	დასახელება	31-12-2019 წელი
1	შპს ციარტყელა	2 562,70
2	შპს ენერგოსერვისი	778,00
3	შპს ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერ	484,68
4	შპს ბანი 13	29,16
5	შპს ბიოსფერო+	30,00
6	შპს თრეიდლაინი	72,36
7	შპს გამა	1 495,00
8	შპს ჯორჯიან პეტროლიუმ დისტრიბუშენ	5 361,30
9	სს თელასი	11 061,26
10	თი ბი სი ბანკი	166 033,00
	ჯამი	187 907,46

შენიშვნა 6 - საგადასახადო ვალდებულებები

#	დასახელება	31-12-2019 წელი
1	საგადასახადო ვალდებულება	8 742,00
	სულ საგადასახადო ვალდებულებები	8 742,00

შენიშვნა 7 - კაპიტალი

#	დასახელება	გაუნაწილებელი მოგება	საწესდებო კაპიტალი	ჯამურად
	<u>ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარებით</u>	-	<u>676 080,00</u>	<u>676 080,00</u>
	საწესდებო კაპიტალის ცვლილება		100 000,00	100 000,00
	გაუნაწილებელი მოგება	- 58 057,00	-	- 58 057,00
	<u>ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</u>	- 58 057,00	<u>776 080,00</u>	<u>718 023,00</u>

შპს "ტრანს გაზი"-ს დირექტორი:

ბუღალტერი:



[Handwritten signature]

/დ. ჩახტაური/

/ლ. აბრამიშვილი /